572
1968/2

# დილა

1968 დეკემბერი №12



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

გივი ძნელაძე

ჩვენს კოპწია ნაძვის ხეზე
ვერცხლი ელავს,
ოქრო ბზინავს...
საახალწლოდ თოვლის პაპამ
ყელი ჩაგვიკოკლოზინა.
გვამღერა და გვათამაშა,
იცინა და ჩვენც გვაცინა,
როცა ზღაპარს გვიყვებოდა,
ყველას ტკბილად ჩაგვეძინა...
ახლა თოვლში ვკოტრიალობთ,
დავსრიალებთ ქარზე სწრაფად...
ულვაშებში ეღიმება
გახარებულ თოვლის პაპას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატრო ბებოს მეკვლეები

შალვა გიგაშვილი

ნახატები რევაზ ცუცქირიძისა

საკოლმეურნეო ბაზარი ნაირ-ნაირი სანოვაგით ზიმზიმებდა. მწკრივად ჩარიგებულ დახლებზე ხვავად იდგა ნიგოზი, თხილი, ვაშლი, მსხალი, კომში, ჩურჩხელები. დახლის სვეტებზე ნივრისა და ხახვის გალები, ლეღვის ჩირის ასხმულები და ქარვისფერი ყურძნის ჯაგნები ეკიდა. ჰაერს ხილის სურნელება ატკბობდა.

თაფლის გამყიდველთა გრძელ დახლს ერთი დედაბერი მიადგა. თაფლის პატრონებმა გუმანით იცნეს. მუშტარი და ხის კოვზებით გაუწოდეს თაფლი:

— გასინჯეთ, ბები!

— აქეთ, დედი, აბა, ესეც გასინჯეთ!

ბებომაც სალოკი თითით კი არა, ნეკის წვერით ჩამოართვა წვეთი თაფლი, დაყნოსა, დაიგემოვნა, მერე ჩანთიდან ქაშანურის პატარა ქილა ამოიღო:

— სამი გირვანქა ამიწონე, შვილო.

— კილო და ორასი... სამი მანეთის იქნება, დედი!

გამყიდველმა ქილა პირამდე გაავსო, თავი მოუკრა და ჩანთაშიც თითონვე ჩაუდგა. მოხუცი წასასვლელად მოემზადა, ჯოხის ასაღებად ხელი მოაფათურა. მაგრამ ჯოხი აღარ იყო...

— ჩემს ცოდვაში ვინ ჩადგა? ახლა





რალა მეშველება! აქეთ-იქით იხედებო-და და ვიშვიშებდა დედაბერი.

— ბები, ჯოხს ვინ მოიპარავდა! იქ-ნებ შინ დაგრჩა!

— აბა, ამ დაღმართს უჯოხოდ რა ჩამომატარებდა. დავბერდი, შვილო, სად რას მივაჩერჩეტებ, რალა მახსოვს...

ნაცნობები შემოეხვივნენ, — შენი შვლისთავიანი ჯოხი მოგპარესო?!... მე-რე ყველა მიდგა-მოდგა, მაგრამ ბებოს ჯოხი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. ჯოხის დაკარ-გვის ამბავს ყასაბმაც მოჰკრა ყური. სა-თულით ხელში გადაევლო გოგლაანთ ბაღის ღობეს, — ქლიავნარი მაინც ხში-რია და გამოკაფვა კიდეც მოუხდებაო. ორ წუთში სახელდახელოდ გამოჩრილი ხელჯოხი მოურბენინა.

მოხუცმა დალოცა: გამრავლდი, გუ-ლის მურაზს ეწიეო... და ბაზრიდან ნე-ლა გავიდა. თავის ეზო-კარს რომ მიუ-ახლოვდა, უბნის წვრილფეხობა დაეხვია. თითისტოლა ბალღები ეხვეწებოდნენ, ქილას წამოგიღებთო... უცებ პატარა ილომ შესძახა:

— ბებო ნატო, ე, რა ჯოხი გიჭირავს, შენი შვლისთავიანი რა უყავი? — მერე გა-იქცა და თავისი პაპის თავმოკაუჭებული ჯოხი გამოურბენინა: პაპას ორი აქვს, ერთი თქვენი იყოსო...

საღამომდე რიგ-რიგად მოვიდნენ ვა-ჟიკა, გოგია, გოჩა, ნანი. მოვიდნენ და nაირ-ნაირი ხელჯოხები მოიტანეს. ნა-ტო ბებო კი ყველას სათითაოდ ლო-ცავდა:

— შერჩი შენს მშობლებს, გაიზარდე, გაიხარე, მადლობელი ვარ, ამდენი ჯო-ხი რად მინდა, წინ ორი პარასკევი აღარ მიდევს... — იღიმებოდა და საგოზინაყე ნიგოზსა სჭრიდა: „არ დაგავიწყდეს, ზეგ ახალი წელია, დილაადრიან მეკვლედ მოცუნცულდი; ამ ნიგვზისა და თაფლის გოზინაყი შენზე უპრიანია“...

ნატო ბებო ჩვეულებრივზე ადრე ადგა, დღისით ლოგინში წოლა არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკვებოსო. თუნუქის ღუმელში ცეცხლი ააგუზგუზა, პირი დაიბანა, მაგიდაზე თეთრი სუფრა გაშალა, კარადიდან შოთი პური, თუშური ყველი, გოზინაყი გადმოალაგა, თეთრი ქაშანურის ჯამფილით ნაირ-ნაირი ხილი დადგა და ორჯერ გავლებული, თეთრად დაშაქრებული ჩურჩხელები დაუმატა... ამასობაში მისმა ნამზითევმა ქვთლმაც ღუმელზე ქაფქაფი დაიწყო და ის იყო, ჩაი უნდა დაესხა, რომ ვიღაცა კარს მოაწვა. ბებო მივიდა, კარი გამოაღო და მეზობლის ორი წლის აჩიკომ შემოსძახა:

— ბებია, აი, კაკა!

ოთახში შემობაკუნდა და ბებოს ხელში სამი კამფეტი ჩაუდო. არჩილს მისი უფროსი და, რვა წლის ნანი შემოჰყვა, ბებოს აკოცა, ახალი წელი მოულოცა და ენად გაიკრიფა:

— უბნის ბიჭებს გუშინ დავა ჰქონდათ, არა მე უნდა ვიყო ბებო ნატოს მეკვლე, არა მეო... მე კი გუნებაში გავივლე, იდავეთ, იდავეთ,—ყველას მე დაგასწრებთ-მეთქი... მაგრამ დედაჩემი გამიწყრა: ვის გაუგონია გოგოს მეკვლეობაო... მერე მამამ მითხრა: აი, აჩიკო ვაჟკაცი არ არის! წინ წაიმძღვარე და მიდიო.

ბებომ ორთავეს გოზინაყი მიართვა: „ასე ტკბილად დამიბერდით, ჩემხნად მოგყაროთ ბუნების მადლმაო... დასხედით, დასხედით, თორემ კრუხი აღარ დაგვიჯდება კვერცხებზე წიწილების გამოსაჩეკადო...“ ბავშვებიც დასხდნენ და კარზე კაკუნიც გაისმა. ვიდრე ბებო კართან მივიდოდა, ვაჟიკა შემოიჭრა და დაიძახა:

— შემოვდგი ფეხი, ახალი წელი მომილოცია!

მაგიდაზე სავსე პარკი დადო და სახტად დარჩა, ნანი და აჩიკო ტახტზე მოკალათებულნი რომ დაინახა.

ნაირ-ნაირი საახალწლო ძღვენით ვაჟიკას ზედიზედ მიჰყვნენ გოჩა, თაკო, ირაკლი, გოგია... ბებომ ყველა გოზინაყით დააბერა, ყველა სიყვარულით დალოცა და სუფრასთან მიიპატიჟა.



# ზამთრული ლექსები

ჯანსუღ ჩარკვიანი

(ცვეტან ანგელოვიდან)



— ფანქარო, ფანქარო,
დარდისაგან წახდი?
რა დიდი იყავ და,
რა პატარა გახდი.
— სამაგიეროდ,
შეხე ჩემს მხატვარს,
რა პატარა იყო და,
რა დიდი გახდა.

გადიპენტა თეთრად,
ქალაკი და მოლი,
უცებ გავჩნდით ერთად,
მე, ციგა და თოვლი.
და თუ ყინვა გვექებს,
უპირველეს ყოვლის,
ჩვენ სამნი ვართ მთებზე,
მე, ციგა და თოვლი.

ნახატი გიორგი როინიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ძმა

ქართული ხალხური ზღაპარი

ნახატები ზურაბ კაპანაძისა

იყო ერთი წვრილშვილის პატრონი კაცი. ისეთი ალალი იყო, ჭია რა არის და, ჭიასაც კი ფეხს არ დაადგამდა. შრომობდა, დღე და ღამეს ასწორებდა, მაგრამ ლუკმაპური ენატრებოდა.

ამ კაცს ერთი ძმა ჰყავდა. იმდენი სიმდიდრე ჰქონდა, თუნდა მთელ ქალაქს იყიდიდა, მაგრამ ისეთი მუნწი იყო, ნემსში ძახათს გამძვრებოდა.

მოვიდა ახალი წელი.

ღატაკმა ცოლს უთხრა:

— ყველა სახლიდან ბოლი ამოდის, ყველა ემზადება, ყველგან რაღაცას ხარშავენ; მეც წავალ, ეგებ სადმე ფიჩხი მოვაგროვო, შენ კი ჩემს ძმასთან მიდი, ცეცხლი გამოართვი. ცეცხლი მაინც დავანთოთ, ჩვენი ბუხრიდანაც ბოლი ამოდიოდესო.

— რას ამბობ,—მიუგო ცოლმა—შენს ძმასთან რა მიმიყვანს. რამდენჯერაც მივედი, პანღურით გამომისტუმრესო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, კაცმა ფანჯრიდან დაინახა,—გაღმა, მინდორში, ისეთი ცეცხლი ენთო, ალი ცამდე ადიოდა.

— კარგი, ნუღარ წახვალ!—დაამშვიდა ცოლი,—ავდგები და ცეცხლს აგერ გაღმიდან მოვიტანო.

წავიდა კაცი. ცეცხლთან ერთი მწყემსი ნახა და შეეხვეწა.

— ასე და ასეა ჩემი გაჭირვება, ცეცხლი მომეციო.

— ცეცხლს კი მოგცემ,—უთხრა მწყემსმა,—მაგრამ აბა, რითი წაიღებო.

— ვარცლი ჩვენ არ გვაქვს და კასრი,—შესჩივლა კაცმა,—რა უნდა წამომეღოო.

— მაშ, მოიტა, მაგ ჩოხის კალთაში მაინც ჩაგიყრიო.

— რას ამბობ, ეს ერთი ჩოხა გამაჩნია, ესეც რომ დამეწვას, მერე რაღა ვქნაო,—დაენანა ღარიბს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



— შენ ჩოხის კალთა მომიშვირე და დაგეწევება თუ არა, ეგ მე ვიციო,—უთხრა მწყემსმა.

გაშალა ღარიბმა ჩოხის კალთა და ჩაუყარა მწყემსმა ცეცხლი.

დაბრუნდა თუ არა შინ, მაშინვე ცეცხლი გააჩაღა. სახლს ბუხარი არ უვარგოდა და ისეთი ბოლი დადგა შიგ, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ველარ ხედავდნენ.

გლეხკაცს ბედმა გაუღიმა, — მთელი სახლი ოქროებით გაიტენა. ხედავდა ოქროებს ღარიბი და თვალებს არ უჯერებდა.

ბოლოს, გონს რომ მოვიდა, ცოლს გასძახა:

— დედაკაცო, წადი, ჩემს ძმას უთხარი, ლიტრიანი გვათხოვე, ოქრო უნდა ავრწყათ-თქო.

წავიდა ქალი მაზლთან.

მაზლმა ჯანღური ამოჰკრა და გამოაგდო:

— უურე ამათ, შიმშილით იხოცებიან და ოქროს არწყვა მოშინდომესო. რა ოქრო, რის ოქრო, სიზმარში მოგელანდათო?!

— გადაუგდე ეგ ლიტრიანი, მათი ცოდვა მაღალს ჰქონდეს: ახალი წელია, ცარიელი ლიტრიანით მაინც გაერთონო.— უთხრა ცოლმა ქმარს.

მაზლმა გადაუგდო ლიტრიანი და თან მიაძახა.

— ეგ ლიტრიანი არ დამიმტვრიოთ, თორემ ვერ გადამირჩებითო.

წამოვიდა ქალი შინ, არწყეს ოქრო და ლიტრიანი უკან დაუბრუნეს.

ლიტრიანში ერთი ცალი ოქრო ჩარჩენილიყო. ეს რომ მდიდარმა ძმამ ნახა, შურისაგან კინაღამ თვალები გადმოსცვივდა და ცოლს უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდი, ერთი წავალ, იმ გაჭირვებულებმა რა იშოვეს, ჩემი თვალით ვნახავო.

შევიდა მდიდარი ღარიბი ძმის სახლში და იმდენი ოქრო რომ დაინახა, ადგილზე გაშეშდა.

— საიდან გაქვთ ამდენი ოქრო?—მეც მასწავლეთო.

ღარიბმა ძმამ არაფერი დაუმალა, უამბო როგორც იყო.

— მაშ, გაის ამდროს მეც ასე მოვიქცევიო.

გავიდა დრო და დადგა კიდევ ახალი წელი. ის იყო, მდიდარმა ძმამ დაანთო ბუხარში ცეცხლი, რომ შარშანდელი ახალი წელი გაახსენდა! მიატოვა ბუხარი, დასტაცა კასრს ხელი და გაღმა, მინდვრისაკენ მოკურცხლა.

მიირბინა მწყემსთან და უთხრა:

— ცოტა ცეცხლი მომეციო.

— ცეცხლი რად გინდაო?

— რად მენდომება, ბუხარში უნდა დავანთოო,—მკვახედ მოუჭრა მდიდარმა.

— აბა, მიიხედე, ვისია ის სახლი რომ იწვისო!

მიიხედა მდიდარმა და ცეცხლწაკიდებული სახლი რომ დაინახა, ვაიმე, ჩემიაო,— თავში ხელი წაიშინა.

— აბა, იმ სახლს კიდევ ცეცხლი უნდა?!—უთხრა მწყემსმა მდიდარს,—ახლა მაგ კასრით ცეცხლი კი არა, წყალი უნდა წაიღო და ხანძარი ჩააქროო.

აი, რა დაემართა შურიან ძმას.

ჩაიწერა და დაამუშავა
**გიორგი შეთეკაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი და სელაპი

თამაზ გოდერძიშვილი

გიორგი ადრიანად ადგება, პირს დაიბანს და... იტყვიან:

— კარგი ბიჭია გიორგი.

საუზმეს მიუჯდება, მადიანად ისაუზმებს და... იტყვიან:

— კარგი ბიჭია გიორგი.

შუადღეზე დასაძინებლად დაწვება, გაიღვიძებს და... დედა მოუალერსებს:

— კარგი ბიჭია გიორგი.

ერთხელ მამამ გიორგი ზოოპარკში წაიყვანა. სელაპი ნახეს, სადილობდა;—დიდი ულუფა გემრიელად შესანსლა და ტუჩებიც გაილოკა.

გიორგი მამას მიუბრუნდა და უთხრა:

— კარგი ბიჭია სელაპი.



ნახატი
ლორეტა შენგელიასი

# მელია და მურიკელა

გივი ჭიჭინაძე



შიმშილისგან კუჭი ეწვის,
რა ქნას მელამ, აღარ იცის.
შეუთვალა ფერმის ქათმებს:
«მეკვლე არ გსურთ ახალი
წლის?»

მურიკელამ ჩაიცინა:
«გაახარე ქათმებიო;—
წამობრძანდი, წამობრძანდი,
ფერმის კართან დაგხვდებიო!»



ნახატი ლამარა დანელიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეწისქვილე

დავით ხუროძე

დათუნიას წისქვილი აქვს,
ჰე, მოგეცეთ ლხენა,—
ვისაც უყვარს ცხელი მჭადი,
მასთან მიდის ყველა.
საფქვავებზე ჩამომსხდარან
ტურიკო და მელა;
ტრიალებენ დოლაბები,
ცეკვავს სარეკელა.

# გია

გიამ კნუტი მოიხელთა,
კუდით ქვებზე დაათრევს,
მოვა კნუტის დედიკო და,
ვაი, რა დღეს დაათევს!

# მკერავი

ლეილა ერაძე

დალიმ თავის დედოფალას
გამოუჭრა პერანგი,
და ტრაბახობს: ჭრა-კერვაში
ვერ მაჯობებს ვერავინ.
აბა, კაბა შეუკეროს
თუ მართლა მკერავი!





# სიზმარა ავტობუსი

გურამ ხარაიძე

ნახატები ედ. ამბოკაძისა

— ჭრი, ჭრი, ჭრი!—გაისმა უცებ ავტობუსის საბარგულიდან.

ყველამ ყურები ცქვიტა, სიზმარამ ავტობუსი დაამუხრუჭა.

— ჭრი, ჭრი, ჭრი!—კვლავ ისმოდა ჭრიჭინი.

— რა ჭრიჭინებს?—შეხტა მაიმუნი.

— ავტობუსი ხომ არ გაფუჭდა?—შეწუხდა სიზმარა.

— ახლავე გავიგებ!—წამოიძახა ჭრელმა ჩიტმა და ფანჯრიდან გადაფრინდა. სიზმარაც გადმოვიდა და საბარგული გაალო. ჭრელი ჩიტი შიგ შეფრინდა. მალე ისევ ავტობუსში შემოფრთქიალდა და ნისკარტით გრძელულვაშა მწერი შემოიყვანა.

— ჭრი, ჭრი, ჭრი!—გაისმა ავტობუსში.

— კიდევ კარგი, ჭრიჭინა ყოფილა, მე კი გული გამისკდა,—თქვა აქლემმა.

— დიახ, ჭრიჭინა გახლავართ, რამდენი ხანია ამ ავტობუსის საბარგულში ვცხოვრობ.

— მართლა?!—გაიკვირვა კენგურუმ.

— დიახ, ვცხოვრობ არხეინად, ჩემთვის და ვჭრიჭინებ. ზოგი ცოცხალ ვიოლინოს მეძახის.

— მერე ამდენი ჭრიჭინით ყბა არ გეღლება? რა გაჭრიჭინებს, რომ ჭრიჭინებ!

— ეჰ, თქვენ გგონიათ, პირით ვჭრიჭინებ? უკანა ფეხებს ვუსვამ ერთმანეთს და მორჩა! აი, ასე,—თქვა ჭრიჭინამ, ფეხები მოიმარჯვა და გაუსვა და გამოუსვა. ჭრი, ჭრი, ჭრი, ჭრი...

— კარგი, გეყოფა, ყური ნუ გამომიჭედე,—თათი ასწია მაიმუნმა.



ჭრიჭინამ ფეხები გააჩერა:

— ჰო, ყურებზე ჩამოვარდა ლაპარაკი: ყუ-

# ზაქარას თავგადასავალი

ტექსტი და ნახატები ედ. ამბოკაძისა



1. შუაღამისას ზაქარამ აჩარა და ბაჩარა ანძიდან ახსნა.



2. სამივენი ნავში ჩასხდნენ და გასცურეს.



3. აჩარა და ბაჩარა თავიანთ კუნძულზე გადმოვიდნენ და ზაქარამ გზა განაგრძო.



4. ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა და ნავი ნაფოტივით გაიტაცა.



5. გულგახეთქილი ზაქარა ნავის კიდეს ჩაებღაუჭა, ის-ის იყო უნდა დალუპულიყო, რომ...



6. იღბლად ვერტმფრენი გამოჩნდა.



7. მფრინავმა თოკის კიბე ჩამოუშვა და ზაქარა ზედ აბობღდა.



8. მფრინავმა არაქათგამოლეული ზაქარა დაანაყრა და მოასვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები მუხლს ქვემოთ მაქვს. ამ მუხლების წყალობით კარგადაც დავხტივარ და კალიასი არ იყოს, ათასობით კილომეტრზეც დავფრინავ.

— დაფრინავ არა, შენც ერთი...—გრძელ კანჭებზე დაიხედა სირაქლემამ.

— არა, ბიჭო, შენა გგავს! ფრინველი ვარო და ფრენა არ იცი!—უთხრა მაიმუნმა.

— ფრენას თავი დაანებეთ, აბა, დაითვალეთ, რამდენი თვალი მაქვს!

მაიმუნი მაშინვე თვლას შეუდგა:

— ბიჭოს, ერთი ამას უყურეთ, ხუთი თვალი აქვს!

—რად გინდა ამდენი თვალი?—ჰკითხა ჭრელმა ჩიტმა.

— ამ სამი თვალით ახლოს ვხედავ, ამ ორით კი შორს ვიყურები.

— დიდი კუდიანი ვინმე ყოფილა ეს ჩვენი ჭრიჭინობელა!—წამოიძახა მაიმუნმა.

— მე არა და, დედალ ჭრიჭინებს კი ნამდვილად აქვთ კუდი, იმ კუდით მიწას თხრიან და შიგ კვერცხებს დებენ.—თქვა ჭრიჭინამ და უდარდელი ჭრიჭინი გააბა.

— ხო, ხო, ხო, რა მოსასმენი იქნება მთელი ოჯახი ერთად რომ აჭრიჭინდება!—ყურები ააპანტურა სპილომ.

— მოიცათ, მოიცათ!—აფრთხიალდა ჭრელი ჩიტი,—საცაა გარეუბანში გავალთ. მალე ის ტყეც გამოჩნდება, ზოოპარკის გაშენებას რომ ვაპირებთ...

— ერთი შენი ამბავიც გვითხარი, ვინა ხარ, რა ხარ...—შეაწყვეტინა სიტყვა ჟირაფმა,—სხვა რომ არაფერი, ასეთი მოკაუჭებულნისკარტიანი ჩიტი არსად მინახავს.—გაოცებით გადაულაპარაკა ჟირაფს.

— მე თუთიყუშს მეძახიან,—დაიწყო ჭრელმა ჩიტმა,—ცხელ ქვეყნებში ვცხოვრობ, ამ ჩემს



9. ვერტმფრენი დაეშვა ზაქარას ქალაქში. იქ უკვე დაზამთრებულიყო.



10. ზაქარას მეგობრები საახალწლოდ ემზადებოდნენ.



11. ისინი ზაქარას გამოჩენას ალტაცებით შეხვდნენ. ზაქარამ თავისი თავგადასავალი უამბო და საახალწლო ფერხულში ჩაება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნისკარტს ეგრე ნუ უყურებთ, ამით ისე ჩამოვკიდები და დავტრიალდები ტოტზე, მაიმუნსაც შეეხარბება. ადამიანივით ვლაპარაკობ, კარგად ვაჯავრებ ძაღლს და კატას, ვყეფ, ვკნავი...

— სწორია, სწორია!—წამოიძახა სპილომ.

— ძალიან გვიყვარს ბავშვებთან თამაში. სიზმარასთანაც აბა, ისე რა მიმიყვანდა. სიზმარა, სად მიგყავს ავტობუსი, ხეს არ დააჯახო! გააჩერე, უკვე მოვედით!

სიზმარამ უეცრად დაამუხრუჭა ავტობუსი. ყველა შეტორტმანდა, ჯიხვი რქებით შეასკდა ბეჰემოტს. სიზმარაც გადაქანდა და... გამოეღვიძა. გამოეღვიძა და რას ხედავს! სავარძელში არ ზის!

ძალიან დაენანა, რომ ყველაფერი ეს სიზმარი იყო...

დასასრული

# თოვლის პაპა

გურამ კლდიაშვილი

თოვლის პაპა, თეთრი პაპა
დავდგით გიას ეზოში,—
ცხვირი ჰქონდა სტაფილოსი,
ქუდი ჰქონდა ვედროსი.

ულვაშები ჰქონდა ცოცხის,—
აქეთ-იქით გაშლილი;
ყალიონი—მუგუზლისა
და თვალები—ნახშირის.





# ლელა

მუსიკა **ჯემალ ადამაშვილისა**

ლექსი **ლიდია მეგრელიძისა**




ლელა, ლელა, ლელა,
გოგო ცუგრუმელა,
ლელას უყვარს ლექსები,
ლექსებს უყვარს ლელა.

აბა, ფისო. აბა, ბურთი...
აქ ყაყაჩო ელავს.
ჩემთან მოდი, ჩემთან მოდი.
ხელებს უქნევს ყველა.

მზე უცინის ლელას,
გაუღიმა იამ,
მოეფინა ნიავი
ლამაზთვალებიანს.

ცელქი სიო, მზეხატულა
უცინიან ლელას,
კარგი გოგო, ციცქნა გოგო, —
ეფერება ყველა.



ქ. გოგიაშვილი

მელიამ მოჭრა ნაძვის ხე, —
ტყიდან გარბოდა ქურდი,
გამოეკიდა ბომბორა,
ქვა ასროლინა კუდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სულელი ბატონი და კალატოზები



ნახატი ჯემალ ლოლუასი

(ლატვიური ზღაპარი)

ერთ სოფელში სულელი ბატონი ცხოვრობდა.

მოდი, წისქვილს ავაშენებო, — განიზრახა ბატონმა.

კალატოზები მუშაობას შეუდგნენ. მაგრამ დღისით რომ აშენებდნენ, ღამით ანგრევდნენ. ბოლოს მივიდნენ ბატონთან და შესჩივლეს:

— კედელი იშლება, ბატონო, დულაბში რძე და კვერცხი უნდა შევურიოთო.

ბატონი სოფელ-სოფელ დადიოდა და კვერცხებს ყიდულობდა, რძე კი საკუთარი მამულიდან მოჰქონდა.

კალატოზებს აბა, რა ეწისქვილებოდათ: ჭამდნენ კვერცხებს, სვამდნენ რძეს და სულელ ბატონზე იცინოდნენ.

# თამაშები



## რებუსი



შეადგინა ზავენის რვაწლიანი სკოლის მოსწავლემ რუსუდან ხაბიაშვილმა.

ამბავი გოგონა ნატოსი და თოჯინა კატოსი.







## გამოცანა

რუსთომ ელანიძე

ოთხი ფეხით ძლივს დადის,
ზურგზე ადგას ზაკანი.
ქათამივით კვერცხსა სდებს,
თუმც არ იცის კაკანი.





ნახატები ჭ. ვიშენსკაიასი



გინდა თაგვი და კატა დახატო? დააკვირდი ნახატებს და ასეთი თანმიმდევრობით დახატე.

## როგორ დაიჭირა ცუგამ თევზი?

ნახატები ანატოლ ვასილენკოსი



6115/10
ეროვნული ბიბლიოთეკა





საახალწლო ზეიმზე—ნახატი თამუნა ჯიჯეიშვილისა, 5 წლის, თბილისი.
ზამთარი—ნახატი მაგული თაბაგარისა, 8 წლის, ქიათურა.
მანქანა-რაკეტა—ნახატი ვალერი ჯგუნჯგიასი, 5 წლის, თბილისი.
მზიანი დილა—ნახატი მარიკა იორლანაშვილისა, 5 წლის, გორი.
თოვს—ნახატი თამილა არაბიძისა, 5 წლის, თბილისი.







მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი.
სარედაქციო კოლეგია: კუკური ბოზიაშვილი, ლეილა ერაძე, ჯემალ ლოლუა, მაყვალა მრევლიშვილი, ჯემალ ნინუა,
იოსებ ქემერტელიძე (პ/მგ. მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდაზე ნახატი ზურაბ მეძმარიაშვილისა — ტექრედაქტორი გ. როინიშვილი

გამოცემის 42-ე წელი. — რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, გამომც. შეკვ. № 3872. ანაწყობი. ზომა 9½×13. ტირაჟი 105 800. ქაღ. ზომა 60×90⅛. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XI-68 წ.
ჟურნალი დაიბეჭდა საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბაში, ლენინის ქ. № 14.
«ДИЛА» № 1 на грузинском языке. Тбилиси, ул. Ленина, № 14.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 93-94-73 — ფასი 20 კაპ.

76055